საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინწკირველი შოთა ვალერიანის ძე

ინწკირველი შოთა ვალერიანის ძე (14. IX. 1929, ოზურგეთი, –14. XI. 1994, თბილისი), მოჭადრაკე, მწვრთნელი. სსრკ დამს. მწვრთნელი. მისი აღზრდილები არიან საერთაშ. დიდოსტატები: ზ. აზმაიფარაშვილი, ნ. გურიელი, გ. ზაიჩიკი, საერთაშ. დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში დ. გურგენიძე; საერთაშ. ოსტატები: ა. იაშვილი, თ. ტაბატაძე; ოსტატები: ც. კახაბრიშვილი, თ. ლომაია, ქ. და ნ. მელაშვილები, მ. წერეთელი; საქართვ. დამს. მწვრთნელები: გ. მაჭარაშვილი, კ. ჩიგოგიძე, გ. ხომერიკი.

წლების განმავლობაში ჭადრაკის კუთხე მიჰყავდა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკასა" და ჟურნ. „პიონერში". გამოქვეყნებული აქვს თეორ. ხასიათის წერილები ჭადრაკზე, ავტორია წიგნისა „სისადავის სიდიადე" (2004).

დ. გურგენიძე